"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №4 (293) 27 აპრილი, სამშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

## საქართველოს გზა, არის გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა ნუ გავამრუდებთ საქართველოს ღვთიურ გზას!

უფალო იესო, ახლა მხოლოდ შენ თუ გადაარჩენ ამ ცოდვილ სამყაროს,
შენ თუ აღადგენ მკვდრეთით საქართველოს, როგორც ლაზარეს

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს**

ღმერთი დედამიწაზე ჩამოვიდა,რათა ზეცად აეყვანა ადამიანი.
ქვეყანას რწმენა და სიყვარული თუ გააერთიანებს,
ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!



ვაი, რა კარგი სახით რა ავად მიგიჩნიეთ!

მოროცისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეთ,

მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიეთ,

დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!...



## 1989 წლის 9 აპრილიდან, 32 წელი გავიდა

9 აპრილი ცრემლისა და სიხარულის დღეა

**ეს იყო ერთიანობის აპოგეა გზა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ**

აქედან დაიწყო თავგანწირული ბრძოლა ეროვნულობისათვის,სამშობლოსათვის, ერს აერთიანებს სამი მთავარი სვეტი- ენა, მამული, სარწმუნოება

## ვულოცავთ სრულიად საქართველოს

### უძლეველი ქართული გენის ტრიუმფი რუსეთში




ოკუპანტების დედაქალაქში-მოსკოვში ევროპის 2021 წლის ჩემპიონატი საქართველოს ჰიმნით დაიხურა!

**ლაშა ტალახაძემ ევროპის ჩემპიონატი მეხუთედ მოიგო**, თან რეკორდებიც დაამყარა: ატაცში 222 კგ დაძლია და თავისივე რეკორდი (220) გააუმჯობესა. ორჭიდის ჯამში კი 485 კგ დააფიქსირა, რაც ასევე მსოფლიოს რეკორდია.

### საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფოთს-საქართველოს საზღვაო კარიბჭეს, ევრაზიის ფორპოსტს



გვფარავდეს ღმერთი საქართველოს ხსნისათვის ბრძოლაში!

მიმართვა ფოთის მოსახლეობისადმი მე–4–გვ

### ჩვენებური დემოკრატია: მრავალპარტიული პარლამენტი, ერთპარტიული მთავრობა და პარტიისა და ქვეყნის არაფორმალური მმართველობა



„ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი არის ძლიერ ცუდად"...

ეროვნული დროშით „ნაცები" მოიწევენ,ფრთხილად საქართველო, შენ ეს გზა გაიარე!

ევროპის ხათრით ოპოზიცია პარლამენტში შედის, ორად გაყოფილი „ოცნებაც$ ახალ პარტიას ქმნის, მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლება და ოპოზიციის პრობლემაც გადაიჭრება მე-2-გვ



### ისტორია - დიდი გზამკვლევი

ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

**აქვე გთავაზობთ მის მოგონებებს:**

„ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში" მე–5–გვ

### სამძიმარი



*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი, დიდი მეცნიერი და განმანათლებელი*

**რამინ აბლოთია**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

## მილოცვა ჯანო დანელიას

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი"



გილოცავთ დაბადების დღეს,ბედნიერი ვართ შენი ამ ქვეყნად ყოფნით,მოღვაწეობით,გვეამაყები,გვიხალისებ ცხოვრებას სიკეთით,სიყვარულით,ერთგულებით,როგორც კარგი ფოთელი,ფოთი - ფაზისის საპატიო მოქალაქე,კარგი ადამიანი.

დიდხანს იყავი ქვეყნის სამსახურში.ამაყად გეთქვას ვლოცავ დღეს,ჩემი გაჩენის ბედნიერი ვარ მე!

მეგობრები

### სამძიმარი



*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესიონალი მუსიკოსი, საესტრადო მუსიკალური ხელოვნების თაყვანისმცემელი, ფილოლოგი, სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილისა და საესტრადო განყოფილების გამგე, მრავალი ნიჭიერი თაობის აღმზრდელი, ფოთის საპატიო მოქალაქე, ქალბატონი*

**ნანი გუგუშვილი**

*და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

### სამძიმარი

*ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, ბატონ ჯემალ მიგინეიშვილის შვილიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.*

# ჩვენებური დემოკრატია: მრავალპარტიული პარლამენტი, ერთპარტიული მთავრობა, პარტიისა და ქვეყნის არაფორმალური მმართველობა

## ,,ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი არის ძლიერ ცუდად”...

## ეროვნული დროშით ,,ნაცები” მოიწევენ, ფრთხილად საქართველო, შენ ეს გზა გაიარე!

## ევროპის ხათრით ოპოზიცია პარლამენტში შედის, ორად გაყოფილი ,,ოცნებაც" ახალ პარტიას ქმნის, მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლება და ოპოზიციის პრობლემაც გადაიჭრება



პარადოქსებითაა სავსე ჩვენი ცხოვრება-პარტიას, რომელსაც პრიორიტეტი მივანიჭეთ და, მიუხედავად დიდი შეცდომებისა, ისევ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, ხალხის მაგივრად ლიდერები გაუნაწყენდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ - ახალი პარტიის შექმნით იმუქრებიან და ერთმანეთს გინებაში ეჯიბრებიან. როგორც ამბობენ,კიდევ ბევრს უჭირავს გაქცევაზე თვალი და თუ ასე გაგრძელდა- ვადამდელი არჩევნები ისედაც გარდაუალია. მოკლედ, პოლიტიკურ თამაშებს ეწირება ქვეყანა. გუშინდელი მმართველი პარტიის ნაწილი ოპოზიციად გვევლინება. ასეთ დროს რა მნიშვნელობა აქვს არჩევნები გაყალბდა თუ არა-თავად პარტია გამოდგა არამდგრადი. 30 წელი დემოკრატიის მერხებთან ვსხედვართ და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ - ფუჭად ჩაიარა გაკვეთილებმა. ჩვენივე არჩეული ჩვენ შემოგვიბრუნდა. სიღარიბით სულს გვაძრობს და ქვეყნიდანაც გვერეკება. როდის დადგება ის დრო, როცა ხელისუფლებებს არ ექნებათ კორიფციული ბერკეტები - სიღარიბით ხალხის მართვის საშუალება. ეს მაშინ მოხდება, როცა გვექნება სამართლებრივი სახელმწიფო სათანადო ინსტიტუტებით, დამოუკიდებელი სამართალდამცველი ორგანოებით. წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის მმართველ პარტიაში ძალაუფლების გამო დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოში პარტია მოსახლეობის სოციალური ფენებიდან არ იქმნება გარკვეული იდეური პლატფორმით, მათ აკავშირებთ ხელისუფლება, თანამდებობა, ფინანსები და პირადი კეთილდღეობა. დემოკრატიის ნიღაბქვეშ მივიღეთ დიქტატურა, და ეს ყველაზე კარგად ,,ნაციონალებს” გამოუვიდათ, როცა ერთი კაცი იყო პრეზიდენტი, მათავრობა, პარლამენტი და სასამართლოც. სამწუხაროდ, ამას დაემატა ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა და მივიღეთ, ის, რაც მივიღეთ - ერთპარტიული პარლამენტი, ამჟამად ერთი პარტიის ორი გუნდით. რაც შეეხება ძველ ოპოზიციას, 30 წლია სკამებს არიან გამოდევნებული, დიდად არ გამოირჩევიან ეროვნული პლატფორმით-ზოგი ამერიკაში გარბის ზოგიც - რუსეთში, დასწრებაზე არიან.

,,ოცნების” დარჩენილი გუნდი ვიდრე ოპოზიციასთან შეთანხმება შედგებოდა, ცდილობდა მრავალპარტიული პარლამენტის შექმნას, და ერთ-ერთ რეზერვად ,,გირჩი” მოიაზრებოდა, რომელიც ამ თანხმობის საფასურად ნარკოტიკების და, კერძოდ, მარიხუანას ლეგალიზაციას ითხოვენ. აი, რა კატეგორიის ხალხს ვირჩევთ, ესენიც ხელისუფლებისათვის ყველაფერზე არიან წამსვლელები. დავავაჟკაცეთ ნორჩი ,,გირჩი”, რათა საქართველოს ახალგაზრდობამ თავისუფლების მოტივით თავისივე მომავალი ნარკოტიკებს შეწიროს.

საქრათველოში კვლავ პრობლემად რჩება პარლამენტის პოლიტიკური კადრებით დაკომპლექტება. რა ესაქმება საკანონმდებლო ორგანოში მშენებლებს, მრეწველებს, მეთევზეებს, ხელოვანებს თუ ბანკირებს. ამას დავუმატოთ ქუჩიდან დროშის ფრიალით მოსულები, ე.წ. რევოლუციონერები და გვაქვს ის პოლიტიკური რეალობა რაც გვაქვს-კრიზისი ყველა პარამეტრით. თუმცა, საქართველოში პოლიტიკური კრიზისი კი არა ღვთის რწმენის, ურთიერთგაგების, სიყვარულის და სახელმწიფოებრივი აზროვნების კრიზისია და ამას ევროპელი ემისრების მონდომება არ შველის. ამდენი მოღალატე ერთად საქართველოს არასოდეს ჰყოლია. მთავარი დამრტყმელი ძალა ,,ონების-გან” რეაბილიტირებული ,,ნაცების” დამნაშავე რეჟიმია”. სანამ მიშას და მის ბანდას ხალხის ნაძარცვი ფული არ გამოელევა, თავიანთი ტელევიზიებით, საქართველოს მოსვენება არ უწერია, მით უფრო როცა, დაშლილი მმართველი პარტია ვერ უძღვება სახელმწიფო მშენებლობის საქმეს. მავანნი კი ხალხის გაჭირვებით მანიპულირებენ და ეროვნული მანტიით ისევ ხელისუფლებისაკენ მოიწევენ - ფსევდოლიბერალები-ნეოფაშისტები. ეს გზა უკვე გაიარა საქართველომ. სამწუხაროდ, მედია ხელს უწყობს ამ პროვოკატორების პოლიტიკოსებად წარმოჩენას. ეკრანიდან არ ჩამოდიან სააკაშვილ-ბოკერია-უგულავები. ეს აზიანებს საზოგადოებრივ აზროვნებას, არ შეიძლება ბანდიტი ქვეყნის მხსნელ პოლიტპატიმრად წარმოაჩინო. თუ გადავხედავთ ამ ვაიპოლიტიკოსთა განვლილ გზას, პოლიტიკასთან ბევრი არაფერი აკავშირებთ. უფრო თვალსაჩინოა ბიზნესი, ფინანსები, ერთგულება და დანიშვნები. 30 წელია ვერ გადაწყდა გუბერნატორის არჩევნები, კრიტერიუმი აქაც მეგობრობა და ფინანსური მხარდაჭერაა, და ვიდრე პოლიტიკური ცხოვრება ფსევდოდემოკრატიის გზით წარიმართება, არაკომპეტენტური და არა პროფესიონალი ადამიანები ქვეყნის საქმეს წინ ვერ წასწევენ და დემოკრატიას საბოლოოდ დაასამარებენ.

ახლა ვხვდებით პოლიტიკოსებიდან ვინ რითი სუნთქავს, რა ამოძრავებთ. ბევრისთვის ზნეობა, სამშობლო და ხალხი დასაცინი და დრომოჭმული ცნებები გახდა. სამაგიეროდ გამართლებულია უსამართლობა, მეფობს ტყუილი, სიყალბე, ქვეყნის სიმდიდრის ყვლეფა, ამიტომაც ყველა ხელისუფლება ჩამოსაგდები გახდა. სააკაშვილის უბედურებაზე-ხალხის გაჭირვებაზე მოვიდა ივანიშვილი და და ხალხსვე აზღვევინა ეს თავგანწირვა - დატოვეს უიმედოდ და ხელ-ფეხ შეკრული.

ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი ახალი პოლიტიკური ძალები. გიორგი გახარიამ პარტია დატოვა და თავისი ძალებით უნდა დაბრუნება.თუმცა, ფინანსური მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდება პოლიტიკურ არენაზე, თანაც ძველი უნდა უარყოს და ბერ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. პარტიის ჩამოყალიბება ურთულესი პროცესია. ეს არაა რევოლუციური ტალღა, როცა ერთი კაცის მხარდაჭერით იოლად მოვიდა მთავრობის სათავეში. სხვათაშორის პრემიერსაც ხალხი უნდა ირჩევდეს. სამწუხარო ისაა, რომ გარკვეული ძალები პარლამენტში არ შედიან, მათ პარლამენტარობა და კანონშემოქმედებითი მუშაობა კი არა, მთავრობა და ძალაუფლება უნდათ. კოალიციური მთავრობა საუკეთესო გამოსავალი იყო, მაგრამ აქაც ვერ მორიგდნენ, ყველას მეფობა უნდა, რაც თანამედროვეობაში მხოლოდ ერთპარტიულობით არის შესაძლებელი.

მოკლედ, ასეთი სურათი იხატება 30 წლიანი გადასახედიდან, პოზიცია-ოპოზიციაში ბევრს ვერ იპოვი სამშობლოზე და ხალხზე შეყვარებულს,- ზოგი შევარდნაძის ხანისაა, ზოგიც სააკაშვილ-ივანიშვილის, ზოგიც უფრო ადრინდელი, ვაჭრობენ სამშობლოთი, პატრიოტიზმით, რწმენით. გუშინ ეკლესიებს რომ ანგრევდნენ, დღეს მძიმე ჯვარს მიათრევენ გოლგოთისკენ. ესენი მიჰყვებიან ქრისტეს გზას? მტერი არაა მეტი. ამ გზას თავად ღვთისმოსავები არ მიუყვებიან, როცა ხალხს პური ენატრება, სულიერი მამები მიწიერ კეთილდღეობას არ იკლებენ - ჯიპებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეკლესიაც შეარყიეს და რწმენაც გადაცმულმა კრიმინალებმა, რომელი ერთი ცხოვრობს ხალხის ცხოვრებით-თქვენ ილოცეთ, იშიმშილეთ, მადლობა შესწირეთ უფალს ყოველი დღისათვისო. ხალხი კი ეკლესიას იცავს, რწმენას არ ღალატობს. მიუხედავად ყველაფრისა, მავანი აქაც ცდილობს ისარგებლოს მისი ჰუმანურობით, ისევ გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე ,,უცნობი”-გაჩეჩილაძე, გახსოვთ, წინათ როგორ გადააგდო ხალხი ერთი ტელეარხისათვის. ახლა მრევლისგან უნდა პარტიის შექმნა, ალბათ, 309-ე პარტია იქნება. ლევან სანიკიძის ,,ქართველთა 309 სირცხვილი” გამახსენდა, ცოცხალი, რომ იყოს, 310-ედ ამათ მიაწერდა მის შვილთან ერთად.

ამ დღეებში პოლიციამაც გამოავლინა მისი სახე, თუმცა, ამ ქმედებას შორეული ფესვები აქვს-იარაღის და ნარკოტიკების ჩადება, ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას, რათა შეუძლებელი გახდეს მისი გამოყენება არასასურველ ადაიანთა დასაკავებლად, ან პოლიცია უნდა შეიცვალოს და გახდეს ნამდვილი სამართალდამცველი და არა დაკვეთის შემსრულებელი.

კიდევ ბევრი უბედურება გვჭირს, რის გამოც დასკვნები უნდა გამოგვქონდეს, მაგრამ ამაოდ, დემოკრატია ყვავის, თან დასავლეთის ჭკუის სასწავლებელი გავხდით. იმათთვის ვინც გმირია, ჩვენთვის -მიუღებელია, ესაა ვითომ პოლიტიკური პატიმრები, ვითომ კრიტიკული პოლიტიკოსები და ვითომ კრიტიკული მედია, რომლებიც ანგრევენ ქართულ ღირებულებებს, ქართულ ხასიათს, ქართულ ეკონომიკას, რის გამოც, სამწუხაროდ, დასავლეთისკენ გარბის ხალხი და მშობლიურ მიწას ბევრი სამუდამოდ ემშვიდობება, ესაა არანაკლები გენოციდი, შენი ამაყი ერი სხვას რომ ემსახურება დაკარგა თავმოყვარეობა და ღირსება. აქ რატომ ვერ ვქმნით დასავლეთს? არადა, არავის ხელწამოსაკრავი არაა ქართველი ხალხი, ეს არაა კუზენების ქვეყანა, აქ ყოველთვის იყო ზნეობა, განათლება, კულტურა ხელოვნება, სიყვარული და ურთიერთ გაგება. რით არის ეს დემოკრატიაზე ნაკლები? ესეც ხომ ხალხის ნებაა.დაღლილ ხალხს არჩევანი ეშლება, სამწუხაროდ, მტერმოყვარე გზა-კვალს ურევს, მაგრამ ერთ დროს გამოიღვიძებს და დაიქუხებს.

რუსეთი ყოველთვის იყო მაშველი რგოლი მავანთათვის. ომმა მაშინ სულზე მოუსწრო სააკაშვილს, გავრილოვმაც დიდი საქმე გაუწია, არადა, ნახევარი საქართველო რუსეთს მიჰყიდეს, ასე, რომ რით არიან იმ მტერზე ნაკლები, ხომ უნდა დამთავრდეს ფარსადან - შადიმანების დრო და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ბრძოლა გრძელდება ქვეყნის გადასარჩენად! - შემოგვძახებს გულდათუთქული ოპოზიცია. 30 წელია გვესმის ეს ფრაზები და არ იკითხავთ ვინაა მტერი?-ხელისუფლება, სადაც ერთ დროს თავადაც იყვნენ. და ასე გრძელდება ბრძოლა ქვეყნის გადასარჩენად, თუ ვითომ გადასარჩენად. არც სხვისი მოიმედეობა ვარგა - როცა ქართველი ერი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეა, პანდემია წალეკვით ემუქრება, რატომ არ გვეხმარებიან სტრატეგიული პარტნიორები, ევროპელები თუ ოკიანის გაღმელები? რატომ დაგვტოვეს უწამლოდ და უვაქცინოდ?

ცხოვრება პოლიტიკურ სპექტაკლად იქცა, გაუთავებელი ბრძოლები, მტრობა და შერიგება. ბოლო შეთანხმებას ევროკავშირის და მისი პრეზიდენტის კარლ მიშელის უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. ოპზიციონერთა პარლამენტში შესვლა, კრიზისის დასასრულად მიიჩნიეს, მაგრამ რა ეშველება რეალურ კრიზისს, სულიერს, ეკონომიკურს. პანდემიის დროს ერთმანეთს ვებრძვით, არავინ იცის კიდევ რა უბედურება გვემუქრება. პოლიტიკური შეთანხმებით ,,ოცნებამ” დრო გაიხანგრძლივა და ადგილობრივი არჩევნები გადაწყვეტს მის რეიტინგს, საპარლამენტო არჩევნების ჩატარება-არჩატარებას. თუმცა, საქმე ბოლომდე არ არის მისული, პოლიტიკურ დოკუმენტს ჯერჯერობით ხელს არ აწერენ ,,ნაცმოძრაობისა” და სხვა პარტიების წარმომადგენლები. მიხეილ სააკაშვილი ახლა პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდებს თავის თანამებრძოლებს.იქნება კი შეთანხმება ათვლის წერტილი დემოკრატიის გზაზე,რათა საბოლოოდ წარსულს ჩაბარდეს ავტორიტარიზმი, ერთპარტიულობა და დიქტატურა. ცნობილია, რომ ოპოზიციამ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე მმართველმა პარტიამ, მაგრამ მთავრობა ერთი პარტიის ხელშია. მართლაც პარადოქსია- მრავალპარტიული პარლამენტი და ერთპარტიული მთავრობა, არაფორმალური მმართველობა პარტიისა და ქვეყნისა.

დემოკრატიამ გაიმარჯვა, პარლამენტი შედგა პოზიცია-ოპოზიციისგან, საპარლამენტო ცხოვრება გაგრძელდება, მაგრამ როგორი იქნება დემოკრატიის შემოქმედი ხალხის ხვალინდელი დღე, შეიცვლება რამე? თუ ცხოვრება ისევ ძველი გზით წავა?

მოკლედ, ,,ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი არის ძლიერ ცუდად“...

ამასობაში კარს მოგვადგა ადგილობრივი არჩევნები, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამდენი პარტიისათვის მაინც ქალაქია საერთო, იგი ერთია თავის სიხარულითა და სატკივარით.

სამწუხაროა, რომ ამ დავიდარაბაში ქალაქმა ფოთმა დაკარგა საზღვაო კარიბჭის ფუნქცია, ევრაზიის ფორფოსტი გაყიდეს და ტერმინალად იქცა. არადა, ერთ დროს ქალაქი და ნავსადგური იყო ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი. ასევე, ვითხოვდით ფოთს მინიჭებოდა ფედერალური ქალაქის სტატუსი. სამწუხაროდ, პოლიტიკურ კინკლაობაში გართულებს ბევრი რამ მიგვავიწყდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მმართველი პარტია ადგილობრივ არჩევნებში ხმების 40%-ს აანონსებს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანახმაა ჩატარდეს ადგილობრივი არჩევნები. მთავარია, არ განმეორდეს გაყალბების აპრობირებული მეთოდები რეგიონის მასშტაბით.

გაზაფხულის სუნთქვა ძალუმად იგრძნობა, იქნებ დადგეს პოლიტიკური გაზაფხული და ქვეყანამაც ამოისუნთქოს. მართლაც ღვთისმშობელი იცავს ამ ქვეყანას, თორემ ამდენი ბოროტების ხელში რა გააძლებინებს.

მაინც იმედებით გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს. დაე, ყოფილიყოს იგი ქართველი ხალხის სულიერი აღორძინების დასაწყისი.

ზ. აბრალავა

# ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა, სიღარიბე

## ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი



## საქართველოს ღვთიური გზა

## გზა ჯვარცმისა და აღდგომისა

ქრისტიანობა და ქართველობა, ანუ ჩვენი ეროვნულობა, იდენტურია, რამდენადაც მრავალტანჯული ერი მუდამ თავისუფლებისაკენ ისწრაფოდა, ღვთის სახელით ებრძოდა მტერს, რომელიც ცდილობდა ქართველისათვის რწმენა წაერთმია და ეს იგივე იყო ერისთვის სული გამოგეცლია. ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენც ვეწამეთ ქრისტესათვის, ეს იყო ქართველი კაცის ცხოვრების ფორმულა, სწორედ, ამან განაპირობა ღვთიური გზა, რომელიც ტანჯვა - წამებით, მაგრამ ზნეობრივი გმირობის მაგალითებით გავიარეთ, მხოლოდ ათი ათასი წამებულის შეუპოვრობა, თავგანწირვა რად ღირს, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ასეთი წინაპრები გყავდეს და ქვეყანა არ გიყვარდეს, მართლაც პარადოქსია, მიუტევებელია. მრავალი რჯულის სექტა ცდილობს წმინდა წყლის ამღვრევას და, სამწუხაროდ, წინა ხელისუფალნიც, (როგორც რეჟიმი) ცდილობდნენ ქრიატიანულ ციტადელის, როგორც ზნეობის უკანასკნელი ციტადელის მორღვევას, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამას არ დაუშვებს და აქედან გამომდინარე განსხვავებულია ამ პატარა ქვეყნის ქრისტიანული კუნძულის სულიერი მისია. ჯერ კიდევ როდის გაუძლო მაჰმადიანურ გარემოცვაში ცეცხლსა და მახვილს, ჯერ კიდევ როდის იცავდნენ ქართველები ქრისტეს საფლავს და აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს წმინდა მიწაზე. ღვთიურობის, სულიერების ძაფი უწყვეტია და ვერანაირი მტერი - შინაური თუ გარეული მას ვერ გაწყვეტს, ერს თავისი ისტორია იცავს-ქრისტიანული ისტორია, რომლის მსგავსი არა აქვს არცერთ ქვეყანას. არარაობას, სიკვდილს ღმერთით ებრძოდა ქართველი კაცი, რწმენისთვის ღირდა სიცოცხლე და იგია ერთადერთი გზა უკვდავებისაკენ, რამეთუ ,,ცოდვილთათვის გარდაცვალება არის სიკვდილი, განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია". აქ ერთი ლექსი მახსენდება ,,სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს - მე გჯობივარ თუ შენაო, თუ კაცი ცოცხლობს რწმენისთვის, მაშინ გჯობივარ მენაო, თუ მხოლოდ თავის თავისთვის, რაღათქმა უნდა შენაო".

ღმერთი დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი ,,მე ვდებ ჩემს სიცოცხლეს, რათა ხელახლა მივიღო იგი"-ამბობს უფალი. იესო ქრისტე მოკვდა როგორც ადამიანი და აღსდგა როგორც ღმერთი, ღმერთი ჩვენშია და ჩვენ ღმერთში ვართ, როგორც დიდი ვაჟა იტყოდა ,,ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარიცა".

უფალი გვაფრთხილებს ,,მე ვარ სამოთხის კარი, მხოლოდ ჩემით შემოვლენ სასუფეველში ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ეს უნდა ახსოვდეს. საქართველოს ისტორია ქრისტიანობისათვის ბრძოლის ხმლით შემოსაზღვრული ისტორიაა.

ღმერთმა ორი სამყარო შექმნა მიწიერი და ზეციური, მიწაზე სულიერების, ზეციერების მსახური ეკლესიაა, მადლობა ღმერთს ჩვენს დედა ეკლესიას სათავეში უდგას დიდი სულიერი მოძღვარი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აღმაშენებელი, რომელიც დიახაც რომ იმსახურებს აღმაშენებლის ტიტულს და ამის თაობაზე წმინდა სინოდის წინაშე საკითხი დააყენა ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ მისი პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით.

ქართველ კაცის ყოფაცხოვრება, კულტურა, ხელოვნება, ტრადიციები, ცხოვრების წესი ქრისტიანული მრწამსის უკვდავებასთანაა წილნაყარი. ქართველი ყველაფერს მარადიულს და საკაცობრიოს ესწრაფვის - სულიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, პიროვნული თავისუფლება, დღეს რომ ასე გაჰყვირიან, სწორედ რომ ამ ღვთიურ შთაგონებაშია ჩაკირული, ძმობა-თანასწორობა, ჰუმანიზმი აქ იღებს სათავეს. გაიხსენეთ ქრისტე - ,,ის მათხოვარი მე ვიყავიო", არადა, რამდენჯერ აგვივლია გვერდი გაჭირვებულისთვის, უნდა ვიყოთ სულიერად ამაღლებულნი, რათა პატივი მივაგოთ სხვის უფლებებს, სხვის ინტერესებს, რაც თანხვედრაში უნდა იყოს ერთიან მიზანთან-ერის კეთილდღეობასთან, მის მომავალთან, რომელიც წარსულის და აწმყოს გაგრძელებაა და ამაშია ცხოვრების არსი, მიზანიც და ამოცანაც. ღმერთმა ყველაზე დიდი რამ-სიყვარული დაანათლა ქართველებს, თუმცა, დრო არყევს ამ მთავარ ციტადელს, არავინ იცის სანამდე მივა უღმერთო მსოფლიო-აპოკალიფსი თითქოს გარდაუვალია. უღმერთობის-ომების და უბედურების ისტორია საკმარისი არ არის დასკვნებისთვის? ეკოლოგიური კატასტროფებიც ხომ გვაფრთხილებენ, მაგრამ ამაოდ, ამ გლობალურ სივრცეში ვინ დაიცავს პატარა ქრისტიანულ კუნძულს, რომელსაც საქართველო ჰქვია, არც შიგნით გვაკლია მოღალატეები და გამყიდველები, ვითომ პატრიოტები და ქვეყნის დამაქცევლები, გათითოკაცებულ ქვეყანას უფრო იოლად მოერევა მტერი.

უნებურად აღმოგხდება -ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!

საქართველოს როგორც არასდროს დღეს სჭირდება ქრისტიანული რწმენა და სიყვარული. დაე, იყოს ღმერთი ჩვენთან, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი, რათა ვიყოთ კარგი ქართველები, კარგი მშობლები, მოქალაქეები, ვისთვისაც უმთავრესი ცნება და მოვალეობის არსი უფალი და სამშობლოა, რამეთუ ,,სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა"...

ქრისტე აღსდგა,! დაე, აღსდგეს ჩვენი ქრისტიანული ქვეყანაც, რამეთუ ასე იდენტურია უფალთან მისი გზით ჯვარცმისა და აღდგომისა.

გილოცავთ!

ზ. აბრალავა



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის, საქართველოს კაზაკთა გაერთიანების სამეგრელო-ზემო სვანეთის კავშირის გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სახელოვანი ქართველი კაცის, დიდი მეცნიერისა და განმანათლებლის, ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და ერთიანობის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, ყველა ვეტერანის ქომაგისა და მოსიყვარულის, აკადემიკოს

**რამინ აბლოთიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## რატომ ვეგებებით წითელი კვერცხით აღდგომის დღესასწაულს



სააღდგომო მილოცვასთან ერთად შემოღებულია წითლად შეღებილი კვერცხების ჩუქება, ეს ჩვეულება ქრისტიანობის დასაბამიდანვე არსებობს. იგი ყველგან დაცულია სადაც კი, მართლმადიდებელ ეკლესიას აღიარებენ. გადმოცემის მოწმობით, ეს ჩვეულება არსებობს მოციქულების დროიდან და დაწყებულია მოციქულთ სწორის მარიამ მაგდალენისაგან, რომელმაც პირველმა იხილა აღმდგარი იესო, ისიც სხვა მოწაფეთა მსგავსად და ყველას ახარებდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას-ახლაც საქადაგებლად რომში ჩავიდა და აღდგომას წარსდგა რომის იმპერატორ ტიბერის წინაშე. მარიამ ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს იმპერატორთან. მას აღარაფერი გააჩნდა, იმპერატორისათვის საჩუქრად იესო ქრისტეს რწმენის მეტი. ამიტომ მასთან შეხვედრისას კვერცხი გაუწოდა იმპერატორს სიტყვებით - აღსდგა ქრისტე! იმპერატორმა ეჭვით შეხედა, როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც, ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო, მაგრამ სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ კვერცხმა გაწითლება იწყო. ამ დღიდან მოყოლებული კვერცხებით ეგებებიან აღდგომის დღესასწაულს ეკლესიაში სააღდგომო წირვის შემდეგ იკითხება კვერცხის ლოცვა კვერცხის ჩუქების დროს ვამბობთ: ,,ქრისტე აღსდგდა"! პირველყოვლისა სააღდგომო კვერცხი უნდა ყოველ ჩვენგანს გვაგონებდეს ქრისტეს აღდგომას და აგრეთვე, მომავალ ჩვენს აღდგომას, რადგან როგორც კვერცხიდან, მისი ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც სრულიად იყო მაშინ დამალული, ასევე კუბოდან სიკვდილის და გახრწნის საცხოვნებლიდან აღსდგა ცხოველმყოფელი და ოდესმე აღდგებიან მკვდარნიც, ასე რომ, როდესაც ჩვენ ვჩუქნით ერთმანეთს წითლად შეღებილ კვერცხს, ამით ჩვენ გამოვხატავთ რწმენას ქრისტეს არდგომაში და მომავალს საერთო აღდგომაში. მეორეც ის, რომ კვერცხი ძლიერ მგრძნობიერი გამომხატველია ჩვენი სულიერი წარმოშობისა, როდესაც კვერცხიდან სითბოს საშუალებით იჩეკება ცოცხალი არსება, აგრეთვე ჩვენს ბუნებას ,,მკვდარს შეცოდებათაგან" ქრისტეს ცხოველმყოფელობით თავისი მადლით. მესამეც, შესამჩნევია სააღდგომო კვერცხის ფერი, თავისი წითელი ფერით, იგი გვაგონებს ჩვენს ჯვარზე დანთხეულ სისხლს, უბიწო ზვარაკს ქრისტესაგან, რომლითაც გადარეცხა მან ჩვენი შეცოდებანი და გვიხსნა საუკუნო სიკვდილისაგან.

## სახელოვანი ფაზისქალაქელი კაცის - ივანე ივანეს ძე პატარაიას არდავიწყებას

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“



საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 95 წლის ასაკში გარდაიცვალა კავშირის უხუცესი წევრი, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი, სამშობლოს აღმშენებლობითი საქმიანობის ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, ყველა თაობის ვეტერანთა მასწავლებელი, ქომაგი და დამრიგებელი - ბატონი ივანე ივანეს ძე პატარაია.

უდიდესი დანაკლისი განიცადა ვეტერანთა ერთობამ, ცხოვრების დიდი და სახელოვანი გზა დაამთავრა და ზეცად ამაღლდა ღვაწლმოსილი და ამაგდარი კოლხი კაცი, ვინც რვა ათეულ წელზე მეტი იღვაწა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბნებზე და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

რთული, ზოგჯერ კი მძიმეც იყო ბატონი ვანოს მიერ ცხოვრების განვლილი გზა ადრეული ახალგაზრდობიდან ჭარმაგ წლებამდე, მაგრამ - საინტერესო, მჩქეფარე და მისაბაძი.

ბატონი ვანო იმ თაობის ღირსეული შვილი იყო, ვინც მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან წლებში სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლებში წასული ჭაბუკებისა და ქალიშვილების სამუშაო ადგილი დაიკავა ქარხნებში, ფაბრიკებში, სოფლის მინდორ ველებზე, რათა ერთად გამოეწრთოთ ბოროტებასთან ბრძოლაში დიადი გამარჯვების ფარი და მახვილი. სწორედ შრომითი თავდადებისთვის სრულიად ახლაგაზრდა კაცი - 19 წლის ივანე პატარაია უმაღლესი მთავარსარდლის - გენერალისიმუსის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბრძანებით დაჯილდოვდა მედლით - „დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისთვის“ და ამ მედალს ბატონი ვანო 77 წლის მანძილზე გულით ატარებდა.

ბატონი ვანო ჩვენი მშობლების თაობის იმ ადამიანთა მოწინავე რიგებში იდგა, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება კეთილსინდისიერად შრომას, ქვეყნისათვის, ქალაქისათვის, თანაქალაქელებისათვის საჭირო საქმეთა კეთებას მიუძღვნეს, ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს და სამაგალითონი იყვნენ თავიანთი კაცობით, სინდის- ნამუსით და სანიმუშო მეოჯახეობით გამოირჩეოდნენ. მათ და ბატონმა ვანომთავიანთი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირნათლად მოიხადეს.

ვწუხვართ და ცრემლი გვერევა ვეტერანთა ერთობას, ვინც ასე გულმოდგინედ ვემზადებოდით სულ მალე 11 სექტემბერს მისი 95 წლის იუბილის აღსანიშნავად, მაგრამ ეს პატივი წილად ხვდა თქვენამდე ზეცად ამაღლებულ თქვენს სათაყვანებელ ვეტერანებს, თქვენს უსათნოეს მეუღლეს ქალბატონ ნინა ხოშტარიას, თქვენს ვაჟიშვილს - ყველა ფოთელისთვის საყვარელ ბატონ ნუგზარ ექიმს, ვინც მარადიულობაში მოგილოცავენ იუბილეს.

მშვიდობით ვანო ბატონო, მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური ფაზისქალაქის მიწა, რომელიც სამარადჟამოდ ჩაგიხუტებთ და ზეცად ამაღლებიდან მეორმოცე დღეს დამკვიდრდებით იქ სადაც მართალნი განისვენებენ.

მიდიხართ - ტკბილი გქონდეთ მგზავრობა.

პაატა ვაჟას ძე გეგენავა
საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარე,
საქართველოს კაზაკთა გაერთიანების გენერალ-მაიორი

# საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფოთს-საქართველოს საზღვაო კარიბჭეს, ევრაზიის ფორპოსტს

## გვფარავდეს ღმერთი საქართველოს ხსნისათვის ბრძოლაში!

## მიმართვა ფოთის მოსახლეობისადმი



*ძვირფასო თანამემამულენო!*

*ფოთის საზოგადოებრიობის აქტიური როლი საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში საყოველთაოდ ცნობილია. ფოთის მოსახლეობა სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან ერთად მუდამ მხარს უჭერდა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას და დაუმორჩილებლობას უცხადებდა პროიმპერიულ კომუნისტურ მაფიოზურ ხუნტას, რომელმაც საქართველოს არნახული კატასტროფა დაატეხა თავს.*

*ფოთის მნიშვნელობა დღეს უაღრესად დიდია. მას ძალუძს გადამწყვეტი როლი შეასრულოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში, საქართველოს გადარჩენაში. ხუნტის ბანდები და დაქირავებული მანქურთები, რომლებიც დღეს ფოთში დააბანაკეს შევარდნაძემ, მელიამ და გიორგაძემ, დიდ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, ისინი იცავენ მაფიოზურ კლანებს და ეხმარებიან მათ საქართველოს სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანაში, საქართველოს ძარცვაში, რამაც ჩვენი ქვეყანა უკიდურეს ეკონომიკურ გაღატაკებამდე და სიდუხჭირემდე მიიყვანა, რისი მსხვერპლიც არის ხალხი სრულიად საქართველოს მოსახლეობა.*

*ამის გამო ფოთის საზოგადოებრიობას, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერ პარტიებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებს მოვუწოდებ გაერთიანდნენ საგაფიცვო კომიტეტში. რომელიც დაიწყებს საყოველთაო უვადო გაფიცვებს ფოთიდან ხუნტის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაყვანისა და გონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. საგაფიცვო კომიტეტის ფორმირება და ხელმძღვანელობა დაევალება დაუმორჩილებლობის კომიტეტს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს ზ. ცხვიტარიას და ფოთის პრეფექტს თ. ბარამიძეს, რომელნიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან პრეზიდენტის წინაშე.*

*გფარავდეს ღმერთი საქართველოს ხსნისათვის ბრძოლაში.*

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*
*ზვიად გამსახურდია*
*1993 წლის 16 აგვისტო*

# ვინ გაყიდა ფოთის საზღვაო პორტი-საქართველოს გეოპოლიტიკური საგანძური?...

## სიმართლე ფოთის ნავსადგურის შესახებ

საქართველოს საზღვაო კარიბჭე და მისი მომავალი ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი პოტენციური წყარო-ფოთის საზღავო ნავსადგური საქართველოს კრიმინალური ხუნტის, იმპერიული ნომნკლატურული მაფიის მიერ საქართველოს ძარცვის ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე და ინსტრუმენტი გახდა.

,,საქრთველოს სამრეკლოში" გამოქვეყნებულ სტატიებში საქართველოს კანონიერი მინისტრთა კაბინეტის მიერ მხილებულ იქნა ის ფაქტი, რომ ფოთის საზღვაო ნავსადგური, შევარდნაძის კრიმინალური ხუნტის, მისი კომუნისტური ნომენკლატურული მაფიისა და მათთან დაკავშირებული ფრიად საეჭვო წარმოშობის უცხოური ფორმებისა და კომპანიების მეკობრული, დანაშაულებრივი ინტერესების ერთ-ერთი უმთავრესი ობიექტია, (ეს იმფორმაცია შესაბამისი დასაბუთებითურთ სულახლახანს გამოქვეყნდა აგრეთვე სოლიდურ ბრიტანულ - ამერიკულ ანალიტიკურ ჟურნალში ,,სოვიეთ ანალისთ").

ფოთის ნავსადგური, პორტი იმ მოღალატური, ამორალური და უკანონო გარიგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია და ობიექტია, რომელიც შევარდნაძემ მაიამიში (ფლორიდა, აშშ) დასდო ნომენკლატურულ ვითომ ,,ამერიკულ" ფირმასთან ,,ბროკგრუპლიმიტედ". ,,სოვიეთ ანალისტ"-ის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ,,ბროკგრუპლიმიტედ" დაარსდა სპეციალურად და საგანგებოდ ამ დანაშაულებრივი გარიგების რეალიზებისათვის.

საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის, რომ როგორც ,,სოვიეთანალისთ"-ის გამოძიებამ დაადგინა -მაიამის გარიგებას ,,ბროკგრუპლიმიტედ"-თან შევარდნაძემ ხელი მოაწერა მისი საქართველოში მეორედ მოსვლამდე სულ რაღაც 7 დღით ადრე -1992 წლის პირველ მარტს. ხოლო თვით ბოკგრუპლიმიტედს" მისი წესდება ამერიკის ხელისუფლებამ დაუმტკიცა 1991 წლის 21 მარტს (ასე, რომ ეს ,,სოლიდური უცხოური ფირმა, რომელსაც შევარდნაძემ საქართველოს ეკონომიკის ბედი ჩააბარა სულ ერთი წლის დაარსებული იყო. ხოლო ხელშეკრულების დადების დროისათვის იგი სამართალდარღვევად ითვლებოდა! ასე, რომ შევარდნაძემ ფოთი ფაქტობრივად აჩუქა სპეციალურად ამისათვის დანაშაულებრივი განზრახვით ახალშექმნილ ფირმას.

,,სოვიენთანალისტს" სარწმუნოდ მიაჩნია ის მოსაზრებაც, რომ ,,ბროკგრუპ ლიმიტედ" კომპარტიის ნომენკლატურის მიერ უცხოეთში სადუმლოდ და არა ლეგალურად გადატანილი ფილითაა დაარსებული, და ამ გარიგების მიზანია კომპარტიული ნომენკლატურის (და ამით ფაქტობრივად რუსეთის იმპერიული ძალების) სრული კონტროლის დაწესება ფოთის პორტზე-ქართველი ერის ამ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ საგანძურზე.

არაჯანსაღ, მტაცებლურ ინტერესს იჩენენ ფოთის პორტისადმი, აგრეთვე რუსეთის იმპერიულ წრეებთან და რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან მჭიდროდ დაკავშირებული აზერბაიჯანული, შუააზიური, ჩრდილო-კავკასიური და განსაკუთრებით ,,საბჭოთა" თუ ,,უცხოური" სომხური წრეები, რომლებიც, ამას საკუთარი ხალხების და რათქმაუნდა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების საზიანოდ აკეთებენ: ამის ნათელი და უდაო დადასტურებაა ხუნტის მიერ აფხაზეთში გაჩაღებული მოღალატური, სქართველოს დამაქცევველი ომის გაჩაღების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სომხეთის მომარაგების პრობლემის წამოწევა (იხ: სიგუა-კიტოვან-იოსელიანის რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების ოქმი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში ,,საქართველოს ცის ქვეშ".)

შევარდნაძესთან დაკავშირებული წრეები ავრცელებენ ჭორებსა და სიყალბეს, თითქოს დასავლური ან დასავლეთზე ორიენტირებული უცხოური სახელმწიფოები, აპირებენ ფოთის პორტის გაფართოება-რეკონსტრუქციას და აქ ფულის დაბანდებას - რაც კატეგორიული და უსინდისო დეზინფორმაციაა, რამდენადაც ხუნტის მიერ საქართველოში შექმნილი კრიმინალური ქაოსისა და ანარქიის გამო ხუნტისტურ-პუტჩისტური საქართველო მთელს უცხოეთში გამოცხადებულია კაპიტალდაბანდებებისათვის და მეტიც, საერთოდ, უცხოელი მოქალაქეებისათვის, განსაკუთრებით საშიშ ზონად (რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ამერიკელი დიპლომატის უპრეცედენტო ბანდიტური მკვლელობით). სინამდვილეში კი ფოთის პორტის გავლით ხდება ნომენკლატურული ხუნტისა და მასთან დანაშაულებრივ გარიგებაში მყოფი ვითომ უცხოური, სინამდვილეში კი კომუნისტური და მაფიოზური ფირმების მიერ საქართველოში ნაძარცვი სიმდიდრისა და ეროვნული დოვლათის უაზრმაზარი ერის არსებობისათვის, ფრიად საშიში მასშტაბებით ინტენსიური გატანა უცხოეთში ასე მაგალითად, წლეულს, გასულ 6 თვეში ფოთის საბაჟოს გავლით, ნახევრად ოფიციალური მონაცემებით (ხუნტა საგანგებოდ მალავს და ასაიდუმლოებს სტატისტიკურ ინფორმაციას ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ხუნტის მაფიამ უცხოეთში გაყიდა უდაოდ საქართველოში წარმოებული საქონელი (ჩვენს მიერ გადაანგარიშებულია მსოფლიო ფასების მიხედვით): 8-10 მილიონი დოლარის ღირებულების მარგანეცის ნაწარმი;2-3 მილიონი დოლარის ქიმიური მრეწველობის ნაწარმი (ძირითადად რუსთავიდან); 14-16 მილიონი დოლარის შავი ლითონი. შავილითონის ნაწარმი და პერადი ლითონური პროდუქცია (ძირითადად რუსთავიდან და მადნეულიდან). ამასთანავე ლითონური ჯართის ნაცვლად ფაქტობრივად ყოველთვის გააქვთ სრულფასოვანი და მაღალხარისხიანი ნაკეთობები, ხოლო სახელმწიფო საწარმოების მიერ შექმნილ პროდუქციას ყიდიან კერძო პირები. შეგახსენებთ, რომ ეს ნახევრად ოფიციალური და ამდენად საორიენტაციო მონაცემებია, ხოლო რეალური გატანები კი რათქმაუნდა რამდენჯერმე მეტია.

არავითარ აღრიცხვას არ ექვემდებარება ფოთის პორტიდან გასული ის კონტრაბანდა, რომელიც მცირე მოცულობისაა და წონისაა, მაგრამ ძვირფასია იშვიათი ლითონები, ძვირფასი ტექნიკა და ძვირფასი ლითონების შემცველი მაკომპლექტებლები, სპირტი და სპირტის ნაწარმი, ნაძარცვი ანტიკვარიატი და საოჯახო სიძველე და რათქმაუნდა ნარკოტიკები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათი კრებსითი, საერთო ღირებულება რამდენჯერმე აღემატება ზემოთჩამოთვლილ პროდუქციას.

ნაძარცვი დოვლათის უცხოეთში გაყიდვით მოხვეჭილი ვალუტა ხუნტისტი მაფიოზებისა და მეკობრეების მიერ უცხოურ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე ინახება და პუტჩისტებისათვის საფრანგეთში, ინგლისში, საბერძნეთში თუ ამერიკაში სასახლეების, უძვირფასესი ავტომანქანების, და მათი მეუღლეებისათვის კი ქურქებისა და ოქრო-ბრილიანტების ყიდვას ხმარდება. (გაიხსენეთ თუნდაც იმელის პარლამენტში გაჩაღებული უნამუსო სკანდალი, ხალხის რჩეულთა მიერ უცხოეთში ნაყიდი ,,ქოხების" შესახებ)-პუტჩისტები ჭირის დროს ილხენენ.

ფაქტები კი ღაღადებენ:

1992 წელს ფოთის პორტისა და საბაჟოს გავლით უცხოეთში გაიტანეს არანაკლებ 46 მილიონი დოლარის ღირებულების კომერციული საქონელი, ხოლო 1993 წლის 6 თვეში კი 50 მილიონის (ე.ი. 50 მილიარდი რუსული მანეთის). ამით შევარდნაძის მაფია მხოლოდ ფოთის პორტის მეშვეობით არანაკლებ 15-20 მილიონი დოლარი ანუ 15-20 მილიარდი მანეთის წმინდა მოგება ჩაიჯიბა!

შემოტანილი კი არის 1992 წელს სულ რაღაც 2,5 მილიონი დოლარის ღირებულების კომერციული საქონელი, ხოლო მიმდინარე წელს კი ჯერ ერთი მილიონიც კი არ შემოუტანიათ.

რათქმაუნდა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფოთის პორტში სატვირთო შემოტანები მთლიანად შეწყდა-მაგრამ შემოტანილი მცირერიცხოვანი და ძალით თავს მოხვეული არაკომერციული ტვირთები არ არის განკუთვნილი სქართველოსათვის. ისინი გამიზნულია უპირატესად სომხებისათვის. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს არაფერს მატებს - არავითარ მოგებასა და შემოსავალს მითუმეტეს ვალუტას არ აძლევს. უკეთეს შემთხვევაში კი ეს არის ე.წ. ჰუმანიტარული დახმარება, რაც მაშინათვე მაფიის კომერციულ მაღაზიებში გადადის).ან მამასისხლად აღებული სესხებით ნაცოდვილარი პირუტყვის საკვები, რომლითაც ხუნტა ქართველებს პურის ნაცვლად კვებას, (თან სამმაგს ახდევინებს და საათობით რიგებში ჭყლიტავს).

აი, ხუნტის ბატონობის ერთ-ერთი ყველაზე თვალნათელი შედეგი და იმ სასოწარკვეთილი სიღატაკისა და შიმშილის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც საქართველოს მოსახლეობის 99%-ს დაატყდა თავს, როდესაც შიმშილისაგან ყოველდღიურად ათობით ადამიანი იღუპება. ამიტომ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს მთელი და სრული სიმართლე ფოთის პორტის შესახებ:

ფოთის პორტს ამჟამად ყოველგვარი რეკონსტრუქციის გარეშე და ნორმალური მოწესრიგებული მუშაობის პირობებში შეუძლია წლიურად არანაკლებ 12-15 მილიონი ტონა ტვირთის დამუშავება. (ხოლო, თუ ფოთის სამხედრო პორტის სიმძლავრეებსაც წარმატებით ავითვისებთ-14-18 მილიონისაც)! თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი ტონა ტვირთის დამუშავება სულ მცირე 5-7 დოლარ შემოსავალს იძლევა -ფოთის პორტებმა საქართველოს ყოველწლიურად უნდა მისცენ არანაკლებ 75-85 მილიონი დოლარი. ამის ზემოთ: პორტის სასაწყობო მეურნობაში ერთი ტონა ტვირთის შენახვა ერთ დღეღამის განმავლობაში იზრდება 1 დოლარ შემოსავალს, რაც მთელი დამუშავებული ტვირთების მოცულობიდან გამომდინარე წლიური გაანგარიშებით უნდა გვაძლევდეს კიდევ არანაკლებ 15-20 მილიონ დოლარს.

ამის გარდა: წლიურად დაახლოებით 5-10 მილიონ დოლარ დამატებით სავალუტო შემოსავლებს უნდა იძლეოდნენ ფოთის საბაჟო (საბაჟო გადასახდელები და მოსაკრებლები), სასტუმროები, სამგზავრო ნავსადგური და სხვა.

ამრიგად, ფოთის საპორტო კომპლექსს და სხვა საზღვაო სანაოსნო წარმოებებს აქვთ უნარი ნორმალურად -ინტენსიური მუშაობის პირობებში საქართველოს ყოველწლიურად მისცენ არანაკლებ 80-85 მილიონი დოლარის შემოსავალი, თუნდაც ამ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში, რომელშიც ახლა იმყოფებიან.

დაიმახსოვრეთ: 80-85 მილიონი ამერიკული დოლარის შემოსავალი,

ამდენად, ფოთის პორტის 1 წლის სავალუტო შემოსავლების თუნდაც მეოთხედი, რომ თვით ამ პორტის რეკონსტრუქცია - გაფართოებას მოხმარდეს, მეტი საჭიროც აღარაა და ასევე აღარ არიან საჭირო არავითარი საეჭვო უცხოელები. შევარდნაძე და მისი დამქაშები კი ცდილობენ ხალხი მოატყუონ -უცხოელები (თურქები, ბერძნები, ირანელები და სხვები). ფოთის პორტის რეკონსტრუქციისათვის 20 მილიონ დოლარს მპირდებიან 5-7 წლის განმავლობაშიო.

სახელმწიფოს ე.წ. მეთაურს და არითმეტიკის სხვა არამცოდნეებს უნდა ავუხსნათ, რომ 5-7 წლის განმავლობაში ფოთის პორტს ყოველგვარი უცხოელებისა და რეკონსტრუქციის გარეშე 400-600 მილიონი დოლარის, ანუ დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარის მოცემა შეუძლია საქართველოსათვის და აქედან გამომდინარე ისიც უნდა ვამხილოთ, რომ ე.წ. უცხოელების მოშველიება ხუნტას მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ფოთის პორტის ფარული ნომენკლატურული პრივატიზება მოახდინონ (ანუ პირადად დაეპატრონონ მას.) და ეს ნახევარი მილიარდი დოლარი შემოსავალი თვითონ ,,მსოფლიო მოქალაქემ" და მისმა მაფიამ უნდა მიითვისონ.

აი, ეს არის სიმართლე საქართველოს საზღვაო კარიბჭის შესახებ.

ქართველმა ხალხმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმოს ფოთის საზღვაო-სანაოსნო კომპლექსი, საქართველოს საზღვაო კარიბჭე, ერის მოღალატეებსა და იმპერიულ-ნომენკლატურულ მათიას - ეს მისი, როგორც ერის სბოლო დამარცხების საწინდარი გახდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი
ბესარიონ გუგუშვილი
გროზნო, 1993 წლის 15 აგვისტო

საქართელოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული
ზურაბ ცხვიტარია.

# ისტორია - დიდი გზამკვლევი

# ფოთს საქართველოში აღიარებულ ქირურგთა კოჰორტა ემსახურებოდა დიდი დასტაქრის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით

## აქვე გთავაზობთ მის მოგონებებს: „ქირურგიული მომსახურების განვითარება ქალაქ ფოთში"



*ქალაქის ცნობილმა ექიმ-გინეკოლოგმა, ქალბატონმა **მარინა ხოფერიამ**, როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვაწოდა საინტერესო მასალები ქალაქის სამედიცინო ცხოვრებიდან. ეს გახლავთ, ბატონ **მამია ჩხეიძის** მოგონებები, რომლის პირველ ნაწილს აქვე ვბეჭდავთ.*

დასაწყისი წინა ნომერში

...ქირურგიულ განყოფილებაში მძიმე ავადმყოფების მკურნალობის საქმეში მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობა ის, რომ ფოთის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას განუწყვეტლივ მომართავდნენ დახმარებისათვის დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონებიდან: გორდი, ხონი, სამტრედია, ზუგდიდი, მახარაძე და სხვა.

განყოფილება ყოველთვის გადატვირტული იყო მძიმე და კლინიკურად საინტერესო ავადმყოფებით, სისტემატიურად მიმდინარეობდა მეტად დიდი მასშტაბის და შრომატევადი მუშაობა.

საოპერაციოდ ინიშნებოდა, რამოდენიმე გეგმიანი ოპერაცია, ერთი დღის განმავლობაში ღიად კეთდებოდა 2 კუჭის რეზექცია, მის პარალელურად მეორე მაგიდაზე 5-6აპენდექტომია, თიაქარკვეთა და სხვა.

ხშირი იყო სასწრაფო ოპერაციების და უძილო ღამეებიც.

როგორც ავღნიშნეთ 1943 წლიდან ქირურგიული მომსახურება დაგვეკისრა ჩვენ, 1941 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1943 წლამდე ვმუშაობდით ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში აკადემიკოს გ.მ. მუხაზესთან ორდინატორად. გ.მ. მუხაძე იყო როგორც საქართველოს ქირურგიის ფუძემდებელი და ქართველ ქირურგთა მოწინავე პლიადის აღმზრდელი, ასევე მთელი საქართველოს ქირურგიული სამსახურის მუდმივი პრაქტიკული ხელმძღვანელი და კონსულტანტი. მისი მზრუნველობა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არც ჩვენ მოგვკლებია;ის ხშირად გვწერდა წერილებს და გვარიგებდა, გვიგზავნიდა საჭირო ლიტერატურას, და ქირურგიულ იარაღებს, იმავე წელს ჩვენი ფოთში ჩამოსვლისას მუხაძე გვესტუმრა და ადგილზე შეამოწმა ჩვენი რა,მოდენიმე თვის ნამუშევარი. სიკვდილის რამოდენიმე დღით ადრე რომ ვინახულეთ, კიდევ ჩვენი მუშაობის შედეგებით იყო დაინტერესებული. გამომშვიდობებისას ასე მითხრა ,,куй, куй железо, пока мис горячо".

1943 წლიდან ქირურგიულ განყოფილებაში ფართოდ წარმოებდა მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა. კუჭის პირველი რეზექცია წყლულის პერფორაციის გამო ფოთში 1943 წლის 27 აპრილს გაკეთდა. ჭყლულიდან პროფუზიის სიხლდენის გამო კუჭის რეზექცია კარგი შედეგით გაკეთებულია1944 წლის 1 აპრილს. კუჭის რეაქცია, როგორც გართულებულ წყლულოვან დაავადების მკურნალობის ქირურგიულიმ მეთოდი 1943 წლიდან ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს განყოფილებასი, ჩვევნი მასალები წყლულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობი შესახებ გამოყენებულია პროფ. რუბაშოვსის და კრივოშევის მიერ ქ. კიმში 1954 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში.

,,резекция желудка при язвенной болезни", აღნიშნულ შრომაში ჩვენი კავშირის 135 ქირურგის მიერ ჩატარებულ 35,443 ოპერაციის შედეგებშია განხილული. 1963 წელს საქართველოს ქირურგთა საზოგადოების სხდომაზე ჩვენს მიერ გაკეთებული იყო ვრცელი მოხსენება, სადაც გაანალიზებული იყო ჩვენს განყოფილებაში ოპერირებული 1200 ავადმყოფის შორეული შედეგი 20 წლის მანძილზე.

1947-1948 წლებში წყლულოვანი დაავადებების ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს შორის გამოყენებული იყო აგრეთვე ორმხრივი სუბდიაფრაგმული ვაგოტომია.

1968 წლიდან ვაგოტომიას კვლავ დავუბრუნდით ჩვენებების ზუსტი განსაზღვრით, კუჭის ეკონომიურ რეზექციას და მადრენირებულ ოპერაციებთან ერთად.

ვაგოტომიის უახლესი და შორეული შედეგები ჩვენს მიერ შესწავლილია 35 ავადმყოფზე რენდგენოლოგიურად და კუჭის სეკრეციის განსაზღვრით ინსულტისა და ჰისტამინის ცდით.

1948 წელს განყოფილებასი შემოღებული იყო ქსოვილებით მკურნალობა. ჯერ ქლორამინით დამუშავებული პლაცინტის კანქვეშ ჩანერგვით შემდეგ კი ფილატომრუმინაცივის წესით. ქსოვილებით მკურნალობა ჩაუტარდა 245 ავადმყოფს.

1948 წლიდან ფილტვების ტუბერკულიოზის სამკურნალოდ განყოფილებას მიმართავდა პლევრშიდა შეხორცებების გადაწვას და ფრენიკუის ალკოჰოლიზაცია.

1949 წელს განყოფილებაში წარმატები იყო გაკეთებული ანტეთორაკალური ხელოვნური საყლაპავი მილი წვრილი ნაწლავიდან 11 წლის ბავშვისათვის, კაუსტიკური სოდით დამწვრობის შემდეგ განვიტარებული საყლაპავი მილის გაუვალობის გამო. ყოფილი პაციენტი დღეს 37 წლისაა, ის ორი ბავშვის დედაა, თავს კარგად გრძნობს, შრომის უნარიანია და მუშაობს სამკერვალო სახელოსნოში.

1948 წლიდან განყოფილებაში შემოღებული იყო ბარძაყის ძვლის მოტეხილობის მკურნალობა ინტრამედულარული ოსტეოსინთეზიტ ლითონის ღეროთ. ეს ოპერაცია იმ დროისათვის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოწინავე კლინიკებში იგრძნობოდა.

1952 წელს წარმატებით იყო გაკეთებული საყლაპავის და კუჭის ტრანსთორაკალური რეზექცია კარდიოეზოფაგური კიბოს გამო.

ლიმფოგრანულომატოზური ემბიქინით მკურნალობა საქართველოს სინამდვილეში პირველად ქალაქ ფოთში წარმატებით ჩაუტარდა ავადმყოფ კაჭაროვსკაიას, რომელსაც რეტროპერიტონული სივრცის ლოკალრი ლიმფოგრანულომატოზი ქონდა. დიაგნოზი დადგენილი იყო, როგორც კლინიკურად ასევე ოპერაციული გზით მიღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიური შესწავლით. ახლად შექმნილი პრეპარატი ემბიცინი უშუალოდ ლაბორატორიიდან მოსკოვში გამოტანილი იყო იმ დროს კოლხიდმშენის უფროსის, ფოთის სასახელო შვილის, სპეტაკი ბოლშევიკის, ნიჭიერი ინჟინერის და მშენებლის ანდრო გაბუნიას მიერ საკავშირო მინისტრის კორიგინას დახმარებით. ემბიქინით მკურნალობის ჩატარების შემდეგ მომაკვდავი ავადმყოფი გამოკრთდა. რამოდენიმე წელიპრაქტიკულად ჯანმრტ ლად გრძნობდა თა თავს და შრომისუნარიანი იყო.

მომდევნი წლებშიც ე.ი. 1952 წლის შემდეგაც ფოთის ქირურგია გარკვეულ წარმატებებს აღწევს; ქირურგიაში ბევრი ახალი წამოწყება აქ მალე პოულობს გამოხმაურებას. 1963 წელს საქართველოში პირველად გაკეთდა ღვიძლის მარჯვენა და კვადრატული წილების რეზექცია ნაღვლისბუშტთან ერთად ექინოკოკოზის გამო. აღსანიშნავია, რომ ამ ვადმოფს 8 წლის შემდეგ მეორედ გაუკეთდა ოპერაციანეფრექტომია, მარჯვენა თირკმლის ექინოკოკის გამო. ამჟამად ის ცოცხალია და მუსაობს დამლაგებლად.

საქართველოში თბილისის შემდეგ ასევე პირველად 1954 წელს ფოთში კეთდება ფილტვის არტერიის გადაკვანძვა და პლევროპნევროქტომია.

საქართველოში პირველად ფოთში არის ჩატარებული პანკრეასის რუტენოგენურ ადენომაზე, ცოლინგურ-ელისონის სინდრომის გამო კლინიკური მედიცინის უახლოეს ნომერში იქნება სტატია ჩვენს მიერ სამედიცინო ლიტერატურაში პირვლად აღწერილი ჯონსონ-სტივენსის სინდრომი, რომელიც მწვავე მუცლის ს სიმულიაციას იძლეოდა.

ამათ გარდა სხვადასხვა დროს წარმატებით არის ნაწარმოები ბევრი რთული ოპერაციები; გულის ჭრილობის გაკერვა, შუასაყარის სიმსივნის ექსტურპაცია, ვერთეიმის ოპერაცია, კუჭის გაფართოებული და კომბინირებული რეზექციები.კუჭის ორმაგი და სამმაგი რეზექცია, წვრილი და მსხვილი ნაწლავების რეზექცია, ჩაილდ ფილიქსის ოპერაცია, სინოკაროდული რეფლექსოგენური ზონის ინერვაცია და გლომექტომია ბრონქული ასთმის დრს და სხვა.

ჩემი და ექიმ ესებუას ჩამოსვლამდე ე.ი. 1943 წლამდე ფოთში ერთი ქირურგი იყო.1921 წლიდან 1924 წლამდე ქირურგი პოლაკლენი და გ. გაგუა მუსაობდა. 1924წლიდან 1931 წლამდე, როგორც ავღნიშნეთ, შ. ჭეიშვილი იყო სამამულო ომის დაწყებამდე ქირურგი ნ. ჯანდიერი მოღვაწეობდა. ჯანდიერის ჯარში გაწვევის შემდეგ დაახლოებით ერთი წელი ქირურგი მ. ყვანიანი მუშაობს. მისი ფოთიდან წასვლის შემდეგ, დროებით ქალაქი იძულებული ხდება ქირურგიის მოვალეობა დააკისრონ რუსეთიდან ფოთში ევაკუირებულ ექიმ-გინეკოლოგს რიაევას, რომელმაც სამწუხაროდ ვერ შეძლო დაზიანებულთა უმარტივესი ქირურგიული დახმარების გაწევა. ამ პერიოდში დაჭრილს, რომელსაც სასიცოცხლო ჩვენებით კიდურის ამპუტაცია ესაჭიროებოდა მხოლოდ საოპერაციო დამ მეუნარგიამ გააკეთა და ავადმყოფი გადაარჩინა.

1943 წლიდან ფოთში 2 ქირურგი მუშაობს მე და ექიმი ე. ესებუა. ორთავე გ.მუხაიძის მოწაფეები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს რომ ექ. ექიმი ესებუა როგორც ქირურგიული განყოფილების ერთადერთი ორდინატორი დღე-ღამის განმავლობაში უანგაროდ დიდ შრომატევად მუშაობად ეწეოდა და ყველა მის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა ჩემგან ყოველგვარი შეღავათის გარეშე, მას ყოველვის მაღალ აკადემიურ დონეზე ჰქონდა დაწერილი ავადმყოფების ისტორიები და მოვლილი ავადმყოფები. ექიმი ესებუა ერთდროულად განაგებდა იმ დროისათვის დიდად საპასუხისმგებლო საქმეს, სარაიონთაშორისო სისხლის გადასხმის სამსახურს. მას 1000-მდე დონრი ჰყავდა და სისიხლით მომარაგების საქმეში ქალაქთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა მეზობელ რაიონებს და (171 სამხედრო საზღვაო ჰოსპიტალს) ამ სამსახურში ექ. ესებუასთან ერთად თავდაპირველად მუშაობდა ექიმი კარტოზია თალიკო. 1947წელს განყოფილებაში 2 ახალგაზრდა ომგადახდილი ექიმები მოდიან გ,წ, ქოიავა და ნ.კ. ხუბუა. ისინი ორთავე ადგილობრივ ბაზაზე იქნენ მომზადებული ქირურგებად. შემდეგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად რამოდენიმეჯერ იყვნენ გაგზავნილი თბილისში და მოსკოვში.

ხუბუა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ის 1953 წლიდან მეზღვაურთა საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას განლაგებს და უნარიანად უძღვება მას. მისი ხელმძღვანელობით განყოფილებასი გაკეთებულია ბევრი საოასუხისმგებლო ოპერაცია. ხუბუა სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა.

ექ.გ, ქოიავა კვალიფიციური ქირურგია და ის 1955 წლამდე ქალაქის ტრავმატოლოგად მუშაობდა.

ამჟამად მეზღვაურთა საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ორდინატორია, ამავე დროს წლების განმავლობაში ქირურგიულ სამსახურთან ერთად ხელმძღვანელობს და დაუღალავ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქის ნაყოფიერ სამსახურში. მომდევნო წლებში, როგორც ქალაქის, ისე მეზღვაურთა ქირურგიულ განყოფილებაში კიდევ ბევრი ექიმი მოვიდა, რომელთა უმრავლესობა შემდგომში ქირურგიას საფუძვლიანად დაეუფლნენ და დღეს, როგორც საქართველოს, სხვა რაიონში ისე, მის გარეთ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან, მათ შორის: მ. ცაგარელი, გ. ქანთარია, ვ. ჯობავა, ტ.გვაზავა, მ. ალანია, ნ. შტეინბერგი, ბ. ნინუა, თ. ჩხარტიშვილი, ი. ფანცხავა, ლ. ჯაფარიძე, ლ. ჯეჯელავა, ვ. იასტრეფცოვი, მ. ჯავახია, გ. რუხაძე, კრუგლოვი, აივაზოვა, დონეცი, დ. გამცემლიძე, ლ. კალანდაძე, ჯ. კორკელია, ნ. ჩოჩია, რ. შენგელია, რ. კვაჭაძე, ი. მოისწრაფიშვილი, გ. ბაქრაძე, რ. გაგუა, გ.მელიქია, ბ.გუგუტიძე, ი. ჭანტურია, ა. თურქია, გ.სვანიძე, ნ. კორჩეჟენკო, ვ. კეშელავა, ნ. ხუბუა, თ. ჯიქიძე, ზ. ჭითანავა, მ. ლეჟავა, მ. ტრიგოლოსი. ორიოდე სიტყვით მინდა შევჩერდე ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებზე.

გვაზავა ტიტე სამედ. სამხ. თადარიგის პოდპოლკოვნიკი იყო, სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში ჩვენს განყოფილებას მეგობრობდა და თავისუფალ დროს ჩვენთან მუშაობაში ატარებდა. დემობილიზაციის შემდეგ 1952 წლიდან 1953 წლამდე ახლად დაარსებულ მეზღვაურთა საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას განაგებდა. ტიტე გვაზავა სპეტაკი კომუნისტი, დისციპლინირებული, თავაზიანი და საქმისადმი დაინტერესებული ექიმი იყო. მახსოვს სემინარულ მეცადინეობაზე ის ყოველთვის მომზადებული მოდიოდა და მისი აქტიური მონაწილე იყო. ავადმყოფისადმი ყოველთვის გულისხმიერი და ყურადღებიანი.სამწუხაროდ ის ადრე გამოაკლდა ჩვენს ექიმთა წრეს.

(მეზღვაურთა გაერთიანებული დისპანსერი 1941 წ. რამოდენიმე თვე ქირ. გაიდაში).

ფოთელ კოლეგებს, განსაკუთრებით ქირურგებს თავი შეაყვარა სამხედრო სამედ. სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკმა ექიმმა დავით გამყრელიძემ (1905-1967წწ). სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მან რამოდენიმე წელი გაატარა ფოთის ექიმთა საზოგადოებაში. დავითი იყო დიდი ბუნების ადამიანი, გულმართალი,მუდამ მომღიმარი და ყველასგან განსხვავებული იუმორის მქონე. დავითი ძირითადად ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგრამ როგორც ქირურგიის მოყვარული, ს ხშირად გვეხმარებოდა ოპერაციებზე. სამწუხაროდ დავითიც ადრე გამოაკლდა ჩვენს მეგობრებს.12 ქირურგი ფოთის მკვიდრი მცხოვრებია და და ისინი ფოთისათვის ქირურგიის საიმედო რეზერვს წარმოადგენენ.

1. ბაქრაძე გ.ა. უმაღლესი კატეგორიის ქირურგია, სამხედრო სამედ. სამსახურის თადარიგის პოდპოლკოვნიკი. ბაქრაძე ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგე იყო. შემდეგ სხვადასხვა რაიონებში წამყვან ქირურგად მუშაობდა. მას გავლილი აქვს კვალიფიკაციის ამაღლების 2 თვიანი კურსები ნეიროქირურგიაში ლენინგრადში. საწიროების შემთხვევაში ის ცვლის განყოფილების გამგეს.

2. ალანია მიხეილი პირველი კატეგორიის ქირურგია.

მას რამოდენიმეჯერ განვლილი აქვს კვაიფიკაციის ამაღლების ციკლი ხარკოვში და თბილისში. ის წლების განმავლობაში ენერგიულად მუსაობდა ქირურგიულ განყოფილებაში და ცვლიდა განყოფილების გამგეს. ამჟამად ალანია ქალაქის წამყვანი ტრავმატოლოგია და ქალაქის ტრავმატოლოგიურ მომსახურეობასტან ერთად ის დიდ ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საშუალო მედ პერსონალის მომზადების საქმეში, როგორც საფერშლო სკოლის დირექტორი.

3. ჩხარტიშვილი თინა 25 წლის სტაჟის მქონე კვალიფიციური პრაქტოკოსი ქირურგია, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე მამაკაცების მხარდამხარ ეწეოდა ქირურგის მძიმე ფიზიკურ და გონებრივ მუშაობას. ამჟამად ის ქალაქის ონკოლოგად მუშაობს.

4. ნ. კორჩეჟენკო უმაღლესი კატეგორიის ტრავმატოლოგია, ის კეთილსინდისიერ ამბოლატორიულ მომსახურებას უწევს, როგორც ტრავმატოლოგიურ, ისე ქირურგიულ ავადმყოფებს.

5. გოგი მელიქია უკანასკნელ წლებში ქირურგიულ განყოფილების ორდინატორთა შორის ყველაზე მეტი დატვირთვით მუსაობა უხდება ექიმ მელიქიას. ის თითქმის დღედაღამ ქირურგიულ განყოფილებაშია. ამ პერიოდში მომზადებულ დამოუკიდებლად მომუშავე ქირურგად გოგი მელიქია შეიძლება ჩაითვალოს. მელიქიას ახასიათებს ყველა შემთხვევაში ოპერაციის ჩვენების და საკუთარი შესაძლებლობის სწორი განსაზღვრა. ოპერაციის ჩვენებისადმი დიდი პასუხისმგებლობა, აუჩქარებლობა, სიფრთხლე, რამაც განაპირობა მის მიერ შესრულებული ბევრი გადაუდებელი ოპერაციის კარგი შედეგით დამთავრება.

ბ. გუგუციძე, გ. რუხაძე, ჯ. კორკელია და რ. გაგუა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები. ამათგან 3 თბილისის კლინიკებში მუშაობენ.გუგუციძე ბუჭალანჩხუთის წამყვანი ქირურგია.

1975 წელს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ქალაქის განყოფილების გამგის ვ. ვეკუას ინიციატივით შეიქმნა გადაუდებელმდახმარების ქირურგთა შტატი 4 ექიმით, რომელიც უდაოდ კარგი ღონისძიებაა და დიდ სამსახურს გაუწევს ქალაქის მოსახლეობას, სასწრაფო ქირურგიულ მომსახურების საქმეს. ბ. ვეკუას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ფოთის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების და სამედიცინო ბიბლიოთეკის მშექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ქირურგიული კადრების აღზრდას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

3 მაისი ხსოვნის დღეა

# სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება

წინაპართაგან წავიდა ყველა...

## საზოგადო, სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეები, პედაგოგები



ნუგზარ
ნადარაია



ლეილა
კაკულია



ნათელა
რუხაძე



გერონტი
კუხალეიშვილის



რამინ
აბლოთია



ბეჟან
ჯალაღანია



**გია
გოგინავა**



ნოდარ
კურდღელია



მამია
ჩხეიძე

მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას თიბავდე,
ვინა სთქვა შენი გარდაცვალება,
არა, უთუოდ დღეს დაიბადე.

მიდიხარ, აღარ დაგემდურება,
არც მიწიერი არც ზეციერი,
ვინა სთქვა შენი უბედურება,
არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი.

მიდიხარ, ცხბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინა სთქვა შენი მიუსაფრობა,
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს
ბედნიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი..



კიმენ
ნაცვლიშვილი



ვერა
შელია



თინა
ჭოჭუა



**ნანი
გუგუშვილი**



კეტიკო
ზამბახიძე



საშა
წულაია



რეზო
კვარაცხელია



**ჯემალ
თოფურია**

## მილოცვა ჩვენს საყვარელ თვალხატულა გოგონებს, მედეა და მარიამ თავართქილაძეებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით



ჩვენო ძვირფასო, ლამაზო, კეთილო გოგონებო, გილოცავთ აღდგომის დღესასწაულს, იმზეგრძელეთ და იხარეთ, ღვთის მადლი არ მოგკლებოდეთ. კარგი სწავლით გაგვეხარებინოთ სამშობლო, მშობლები და ახლობლები.

**თქვენზე უზომოდ**

**შეყვარებული ბებია ჯულიეტა და ბაბუა რომანი**

## მილოცვა ქალბატონ ქეთინო ტონიას დაბადების დღესთან დაკავშირებით



მუდამ ბედნიერი და გახარებული ყოფილიყავი შენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად. მრავალი დაბადების დღე გადაგეხადოს. ჩვენი შეუღლების 100 წელსაც შევხვედროდეთ ერთად.

შენი დიდად დამფასებელი და მოსიყვარულე მეუღლე

**ემზარ კილასონია**

## მილოცვა რომან ძაძამიას

დაბადების დღეს გილოცავ ბატონო რომან. მაისის სითბო და სურნელება არ მოგკლებოდეს.

ბედნიერი იყავი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

**შენი განუყრელი მეგობარი ემზარ კილასონია**

## მილოცვა ოლეგ წულაიას

ჩემო სულის მეგობარო, ჩემო ოლეგ. გილოცავ დაბადების დღეს და გიორგობას. გფარავდეს წმინდა გიორგის მადლი. შენ და შენს ოჯახს.

**საყვარელი დეიდაშვილი ემზარ კილასონია**

## 30 წელი – ხალხის სამსახურში

### თუ საყოფაცხოვრებო ტექნიკა გაგიფუჭდათ...



ნათქვამია ყველა პროფესია საჭირო და დასაფასებელია, იგი ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მუდმივად მოითხოვს ,სრულყოფას, ძიებას და დაუღალავ შრომას.

ინტერნეტის ეპოქაში ახალი პროფესიები გამოიკვეთა, რაც დიდ ცოდნას და მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ინერნეტითა და შესაბამისი ტექნიკით სარგებლობს. ამდენად, მისი შეკეთება, რემონტიც გარდაუვალი და აუცილებელია. საყოფაცხოვრებო ტექნიკა ხშირად გამოყავს მწყობრიდან ბუნებრივ მოვლენას, განსაკუთრებით - პლაზმური ტელევიზორები.



ხშირად გვეუფლება განცდა, რომ დაზიანებული ტექნიკისგან არაფერი გამოვა და ამ დროს ვრჩებით-ტელესახელოსნოს იმედად, სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქი არ გამოირჩევა, დიდი სერვისით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა.

მირცხულავასა და ჟვანიას ქუჩის გადაკვეთაზე ხშირად ნახავთ მომხმარებლებს, რომლებიც ენდობიან აქ მომუშავე პროფესიონალებს - **ელგუჯა ჩუხუას და რამაზ თურქიას.**

ბნ-ი ელგუჯა 30 წელია ემსახურება ამ საქმეს, მაღალი პროფესიონალიზმით და პასუხისმგებლობით. დიდი გამოცდილების სპეციალისტი პრაგმატიკოსია და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი ტექნიკის შესწავლას. მთავარი რაც გამოარჩევს, პიროვნული თვისებებია, განათლებული, კომუნიკაბელური. ანგარიშს უწევს ადამიანთა შესაძლებლობებს დაცდილობს ყველას დაეხმაროს. როგორც კარგი ფოთელი, თავისი ქალაქის ცხოვრებით ცხოვრობს. მის გვერდით მუშაობს სრულიად ახალგაზრდა კაცი და რთულ პროფესიას ეუფლება. რამაზი გატაცებულია ტექნიკური სიახლეებით. აღსანიშნავია, რომ ისინი მუშაობენ ყოველდღე 10 საათიდან 6საათამდე.




**შეგიძლიათ დაურეკოთ 574 05 02 80 ან 568 64 76 69**

## უძღვნი ბატონ ზურაბს დაბადების დღესთან დაკავშირებით

### არ ბერდება შენი გული

არ ბერდება შენი გული
და არც შენი გაზეთი,
დაფინანსება რომ არ გაქვთ,
ამაზე ხარ ნაწყენი.
შენ პარტიის ქალაქკომშიც
იყავ წარმატებული,
თუმც, არასდროს მოგწონდა
სისტემა წყალწაღებული.
შენ სამშობლოს სიყვარულით
გაგიფრინდა დღეები,
ამიტომაც ფაზისქალაქს
შვილივით ეფერები.
ჟურნალისტთა მედროშე ხარ,
გიჭრის ენა-კალამი,
ამიტომაც მაღლა მიგაქვს
ჟურნალისტთა ალამი.
აი, ასე იმოღვაწე,
რედაქტორ-ბატონო,
კაცურ-კაცის სახელი გაქვს
დიდი გულის პატრონო.

10.042021

## თანაფა

მეგრული ,,თანაფა" ქართულად ნიშნავს თენებას. მიჩნეულია, რომ თანაფა ძველთაძველი დღესასწაულია, კერწოდ მთვარის ღვთაებისადმი მიძღვნილი, მთელი ღამის გათენება, ღამისთევა, ,,თანაფა". ეს დღესასწაული იმართებოდა და იმართება ყოველ წელს, ბუნების, ცოცხალი არსების გამოღვიძების დროს, გაზაფხულზე, როცა მთვარე გაივსებოდა; კვირა ღამით სანთლებს ანთებდნენ, ლოცულობნენ და ორშაბათს მთვარის დღეს -თუთაშ დღას ხვდებოდნენ ზეიმით. მაშასადამე მეგრული ,,თანაფა" აღდგომის ძველთაძველი ტერმინია.

ივ. ჯავახიშვილი წერს: ,ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარი მეუფისა თაყვანისცემა. თანაფა ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს". ყველაზე მთავარი ღვთაების-მთვარისათვის გაწეული სამსახური გახლდათ ღამისთევა,. ჯავახიშვილი წერს-,,დასავლეთ საქართველოში თანაფა უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ თეთრი გიორგობა მთვარის ხატობაა." დღესასწაულის წინა დღეს სიწმინდით განთქმულ მოხუცებულს ამოირჩევდნენ ხოლმე, მთელ ღამეს ეკლესიაში დატოვებდნენ. ის ღამე მას ლოცვაში და ოცნებაში უნდა გაეტარებინა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ სრულყოფილი ბიოლოგიური სიცოცხლე დედამიწაზე დაწყებულია მთვარის გამოჩენიდან (3 მილიარდი წლის წინათ). მანამდე დედამიწა მოძრაობდა ქაოსურად და დიდი სიჩქარით. და ამდენად საგულისხმოა, რომ კაცობრიობის ამ პირველყოფილ ადამიანთა გამოჩენაც მთვარის გაჩენას უკავშირდება.

ყველაზე გასკვირი კი ის არის, რომ ეფუთის (ცხოვრების წიგნი) ხალხი ელოდებოდა ქრისტეს გამოჩენას. ეფუთიდან გამომდინარეობდა აგრეთვე დღესასწაული ,,თანაფა"-ანალოგიური დღევანდელი ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი. მაშინაც ღებავდნენ კვერცხს, თანაფას აღნიშნავდნენ, როგორც სიცოცხლის გაჩენის დღეს ქვეყანაში. ამიტომაცაა, რომ თანაფა, (აღდგომა) ყოველწლიურად გაზაფხულზე, ყოველთვის კვრა დღეს და ყოველ განსხვავებულ რიცხვებში, როცა გაივსებოდა მთვარე მაშინ აღნიშნავდნენ. ცხადა ცოცხალი არსების გამოღვიძება, გაზაფხულზე, როცა მთვარე გაივსებოდა მაშინ იწყებოდა. და ახლაც ასეა.

**ლევთერ ჭოჭუა**

## სამადლობელი სასწრაფო დახმარების სამსახურს




პანდემიამ ადამიანებს სიცოცხლისა და ერთმანეთის დაფასების გრძნობა გაგვიმძაფრა. იგი საშიში და დაუნდობელია, სიფრთხილე გვმართებს. ასეთ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი სამსახურების გამართულ მუშაობას. სამწუხაროდ, ვერც მე ავცდი ამ უბედურებას, რომელიც გულის შეტევით დაიწყო. რომ არა სასწრაფო დახმარების ექიმების დროული და კვალიფიციური ჩარევა, ამ წერილით სამადლობელს ვერ მოვიხდიდი, გადამიყვანეს ქუთაისში და გადამარჩინეს.

მადლობას ვუხდი ფოთელ ექიმს **მიშა ალავიძეს** რთულ პერიოდში თანადგომისათვის.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინდა გადავუხადო ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს **ირაკლი ხახუბიას და** ბიზნესმენ **კახა ლატარიას**, რომელთა დიდი წვლილია იმაში, რომ დღეს ქალაქს აქვს სასწრაფო დახმარების სამსახურის ახალი შენობა და სხვა ობიექტები.

ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მშვიდობიან საქართველოში გვეცხოვროს.

**ლევან ქობალავა**

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და სსიპ კოლეჯს- ,,ფაზისს" შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა



პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი აღზრდა", პროფესიული კოლეჯი – 20 სტუდენტების მიღებას გეგმავს. მერიის მიერ სტუდენტების ხელშეწყობით, მათ მიეცემათ შესაძლებლობა გაეცნონ რეალურ გარემოს და გამოსცადონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები.

ურთიერთთანამშრომლობის მიზანია პიროვნების პროფესიული პოტენციალის რეალიზება, მისი დარგობრივი კომპეტენციების ფორმირების ხელშეწყობა, სამუშაო ძალის უნარების განვითარება, რომელიც სტიმულს აძლევს შრომის ბაზარს. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა" პროფესიული სტუდენტებისათვის ხელშეწყობა, აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესრულება სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათთვის მომავალი პროფესიის რეალურ გარემოში აღქმა.

დოკუმენტს ხელი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ და კოლეჯის „ფაზისი" დირექტორმა ნინო ბაკურაძემ მოაწერეს.

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## ფოთელ სპორტსმენთა წარმატებები ჩინურ საბრძოლო ხელოვნებაში უშუ-კუნგ-ფუში



კიდევ რვა ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ფოთელი სპორტსმენები უშუ-კუნგუ-ფუში. ეს პირველი წარმატებები არა რის მათი. ჩვენს ქალაქში არსებული სპორტული სკოლა უშუ კუნგ ფუში დიდებული სპორტსმენის **ვასო დუნდუას** ხელმძღვანელობისთ ყოველ საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებიდან ჯილდოებით მკერდ დამშვენებულები ჩამოდიან ხოლმე. თბილისის ღია პირველობა უშუ გუნგ ფუში, რომელიც ჩატარდა 2021 წლის 19 აპრილს, თავი გამოიჩინეს ამ სკოლის მასწავლებლებმა-მარვალგზის ჩემპიონმა ევროპის ორი ოქროს და საქართველოს ჩემპიონატის ორი ოქროს მფლობელმა **მაკა გაბესკირიამ**, ამავე სკოლის მოსწავლე სპორტსნმენმა **სოფიკო აფხაზავამ, საბა გოგიამ, გვანცა ქარჩავამ, ნიკა დიხამინჯიამ, საბა ნიორაძემ, მარი არზიანმა, დაცი გვასალიამ მეგი აფხაზავამ, ილო დანელიამ,** რომლებმაც შეჯიბრებებში გაიმარჯვეს და გახდნენ ოქროს მედლის კავალერები. სასიხარულოა, რომ ამ სკოლაში აღზრდილი სპორტსმენები ყოველ ჩემპიონატზე ოქროს მედლის მფლობელები ხდებიან. მათი წარმატებები სკოლის მასწავლებლის ვასო დუნდუას, მაკა გაბესკირიას და ნუგზარ ნიკოლენკოს დიდი შრომით არის დაგვირგვინებული.

ჩვენ ვულოცავთ ამ დიდ წარმატებებს და ვუსურვებთ მომავალში კვლავ გამარჯვებებს. ისინი დიდი ღირსებით ატარებენ ფოთელი სპორტსმენების სახელს. მჯერა, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა კვლავ ამოუდგება გვერდში ამ ღირსეულ სპორტსმენებს და კვლავაც დააფასებენ მათ წარმატებებს.

რამაზ ლაგვილავა

## მილოცვა 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით
### ზურაბ თოფურიასა და დავით დავთიანს



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **პაატა ლაგვილავა** ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ფეხბურთის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს **ზურაბ თოფურიას** და ვეტერან მოკრივეს, კრივის სასპორტო სკოლის მწვრთნელ - მასწავლებელს **დავით დავთიანს** შეხვდა და 60 წლის იუბილე მიულოცა.

ზურაბ თოფურია 1978 წელს ჩაირიცხა ფოთის ,,კოლხეთში'' და იმავე წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი და სუპერ თასის გამარჯვებული. ის არის პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩის მონაწილე, რომელიც გაიმართა 1990 წლის 30 მარტს, სადაც ,,კოლხეთი -1913'' დაუპირისპირდა თბილისის ,,იბერია''-ს. მატჩი დასრულდა ფოთელთა გამარჯვებით 0:1.

ზურაბ თოფურია 1992 – 1994 წლებში ,,კოლხეთი 1913''-ის მეორე მწვრთნელი გახლდათ. წლების განმავლობაში იყო -19 ,,კოლხეთი-2''-ის მთავარი მწვრთნელი. ბათუმის ,,დინამო''-ს 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2013 წელს სპორტში შეტანილი წვლილისათვის მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება. ამჟამად მუშაობს ბავშვთა ფეხბურთის სასპორტო სკოლაში მწვრთნელ-მასწავლებლად.

დავით დავთიან გახლავთ საქართველოს ჩემპიონატებში მრავალგზის გამარჯვებული მოსწავლე. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი დიდებში და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი და ჩემპიონი.

დავით დავთიანმა მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1985 წელს ბავშვთა სპორტულ სკოლაში. მას გაზრდილი ჰყავს საქართველოს ჩემპიონები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები და ფინალისტები. ამჟამად არის მწვრთნელი კრივის სკოლაში. ის გახლავთ რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

დამსახურებულ მწვრთნელებს, ფეხბურთისა და კრივის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და სახელოვანი სპორტსმენების აღზრდისათვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სიგელები გადაეცათ.

## როლანდ გარუჩავას ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა გაიხსნა




ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კალათბურთის დარბაზის შენობის ფასადზე საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სპორტის ოსტატის, საკალათბურთო კლუბ ,,დინამო''-ს ვეტერანი კალათბურთელის, სამეგრელოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **როლანდ გარუჩავას** ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფა განთავსდა.

დაფის განთავსების ცერემონიალს ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა საკრებულოს თავმჯდომარესთან ბექა ვაჭარაძესთან და კალათბურთელის ოჯახის წევრებთან ერთად დაესწრო.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ფილმის "თამაშზე მეტი" ჩვენება, რომელიც როლანდ გარუჩავას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

როლანდ გარუჩავა 1976 წლიდან თბილისის "დინამოს" ღირსებას იცავდა. როლანდ გარუჩავა სამეგრელოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე გახლდათ. საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში ბოლო წლებში ყოველთვის თამაშობდნენ მისი აღზრდილები. ის გახლდათ საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

როლან გარუჩავა წლების განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა და სათავეში ედგა ფოთის კალათბურთის გუნდ ,,ირაო''-ს ასაკობრივი კალათბურთელების აღზრდისა და დაოსტატების საქმეს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი აღზრდილი კალათბურთელები ირიცხებიან კალათბურთის აკადემიებში, საქართველოს ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში.

ღონისძიება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

## ლია გვალიას და ენვერი მიმინოშვილის გახსენება
### აღდგომას გილოცავთ, საყვარელო მშობლებო...



რამოდენიმე წელი გავიდა, რაც წახვედით ამ ქვეყნიდან, დატოვეთ ახლობლები, საყვარელი ოჯახი და დამიტოვეთ უზომო სევდა, ტკივილი და მოგონებები. ამ ხნის განმავლობაში მიუყვები ცხოვრების ძნელად სავალ გზას.

დედა, რაც დრო გადის, მიძნელდება უშენოდ ყოფნა, მაგონდება ლამაზი წლები, ერთად გატარებული დღეები. თვალწინ მიდგას შენი ლამაზი სახე, ყველას მიმართ ავლენდი სითბოსა და სყვარულს, იყავი სტუმართმოყვარე, კარგი დედა და მეუღლე. წარმატებული საქმიანობისათვის ბევრჯერ დაგაჯილდოვეს.

მამა, როგორ მენატრები... 40 წელი იმუშავე ფოთის რკინიგზის სადგურში, მატარებლის მთავარ შემდგენელად, არ გაკლდა დაფასება-მადლობები და ქების სიგელები.



წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდი პარტიულ ორგანიზაციას. გამოირჩეოდი სტუმართმოყვარეობით, იყავით ფოთელი მეგობრების მასპინძელი. გწამდეთ - სანამ ცოცხალი ვარ, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ყვავილებით და სანთლით მოვდივარ თქვენს საფლავზე, ვლოცულობ, რათა უფალმა ნათელში მიმყოფოს თქვენი სული.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, საყვარელო მშობლებო!

თქვენი მონატრებული შვილი-ნანი მიმინოშვილი

## სამგლოვიარო განცხადება

ქალაქ თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იზიარებს ოჯახისა და ახლობლების ღრმა მწუხარებას, ჩვენი ბავშვობისა და სკოლის წლების მეგობრის, სიკეთით აღჭურვილი პიროვნების

**ჯანიკო ლორიას**

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ გოგინავა, ჯიმი ქვარცხავა, ჯემალ კახიანი, მერაბ ზამბახიძე, გივი აბდუშელიშვილი, იური ალანია, პეტრე ბერაია, ჯემალ კვირტია, გულთაზ ლაბარტყავა, გია სვანიძე, თენგიზ უჩანეიშვილი, ბესო ქორქია, ვახტანგ ჩიქოვანი.

ნანი მიმინოშვილი მწუხარებას გამოთქვამს მანუჩარ და გელა ბუკიების მამის

**მურმან ბუკიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**განცხადება:**

**ქირავდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის:იერუსალიმის №4**

**ტელ: 551 499 555**

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარეხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*

ნომრის სპონსორია ,,კავტრექსფოთის'' გენერალური დირექტორი, ბატონი რობერტ გვაზავა, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა